# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 114 ხუთშაბათი, 12 დეკემბერი, 1918 წ. № 114



მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა"

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82



## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ხუთშაბათს, დეკემბრის 12-ს სახალხო გვარდიის დღეს საზეიმო სპექტაკლი

I

დიდი აპოთეოზი

II

შულგინას, კანშინის, ორდას მონაწილეობით

ჯამბაზები

III ბალეტი

ოპერა (ჯიოკონდადან: საათების ცეკვა.) შაბათს, 14 დეკემბერს ბ. ი. ზალიპსკის ათი წლის სასცენო მოღვაწეობის გამო ალეშკო, იანსას, მოროზოვას, ზალიპსკის, ვრონსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით „პიკის ქალი". გერმანის პარტიას შეასრულებს ზალიპსკი. კვირას, დილით—ბალეტი და საბავშვო ოპერა, „7 თხა და წითელი ქუდი", საღამოთი შულგინას, შვამბერგის, იანსას, კანშინის, პოლიაევის და ისეცკის მონაწილეობით „ნერონი." სამშაბათს, 17 დეკემბერს საბანეევას, ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით „გოფმანის ზღაპრები". 1152 1—1



ყოველ-კვირეული ჟურნალი

## „რესპუბლიკის ჯარი"

მესამე ნომრიდან გამოვა გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით'

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალოუბნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" რედაქცია—ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის". ჟურნალის „რესპუბლიკის ჯარის" სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე. 1143 3—2



## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონით (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 85-5 ოქტომბრის 1918 წ.) განსაზღვრული სენაკის მაზრისათვის საჭირო

### მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა

მოხდება სენაკის სამაზრო საერობო კრების მიერ პირველ მორიგ ყრილობაზე. ვისაც სურს რომ იყოს აღნიშნულ თანამდებობაზე შეუძლიათ განცხადება გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას.

1093 7—6

სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა.



შაბათს, 14 დეკემბერს 1918 წ. (ახალი სტილით)

მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი მართავს

## კონცერტ-ლექციას

დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში.

1133 1—1

დასაწყისი სრულ 7-ნახევარ საათზე.



## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მაზრაში წვრილი საერობო ერთეულების არჩევნების დღედ დანიშნულია 3 იანვარი 1919 წ. (ძველი სტილით). საერობო ერთეულებად მიღებულია არსებული სასოფლო საზოგადოებები. პარტიების თუ ჯგუფებისაგან ხმოსნების კანდიდატთა სიებს საზოგადოებათა საარჩევნო კომისიები მიიღებენ 2 იანვრამდე 1919 წ. (ძველი სტილით). თავმჯდომარის მოადგილე გრ. ცეკვაშვილი. 1142 3—2



ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების სატერმინო სექცია

მოკლე დროში გამოსცემს წინასწარ ხელის მოწერით

რუსულ-ქართულ **ტეხნიკურ ლექსიკონს** რუსულ-ქართულ

სადაც მოთავსებული იქნება უმთავრესი ტერმინები მექანიურ, ელექტრო-ტეხნიკურ, ჰიდრო-ტეხნიკურ, სამთამადნო, ქიმიურ, მეტალურგიულ, საამშენებლო, საგზაო, გემთა-საამშენებლო და სხვა დარგებიდან. ფასი 15 მან. ხელის მოწერა მიიღება ინჟ. ვ. კაკაბაძესთან, დიდი მთავრის ქ., 70, ტელ. 10—43. 1153 1—1



## ექიმი ი. კ. აგაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ქლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.



## საექიმო-სასანიტარო განყოფილება

**სთხოვს ექიმებს, ფერშლებს და მოწყალების დებს,**

ვისაც სურსთ იმუშაონ ეპიდემიებთან საბრძოლველ რაზმებში ადგილობრივ ან პროვინციაში-ერობებში, მობრძანდნენ განყოფილების ბინაზედ ალსანუსხავათ (ქსენიევის ქ. სახლის № 10). იქვე მიიღება ცნობები სამსახურის პირობების შესახებ. 3—2


## ოფიციალური განყოფილება

### კანონი

**ერობათათვის დახმარებისა.**

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ოთხი მილიონი (4.000.000) მანეთი საერობო რეფორმის საჭირო ხარჯის გასაწევად.

2. მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ამ თანხიდან ხუთასი ათასი (500.000) მან. გადასცეს უბრუნებელ დახმარების სახით სამაზრო საერობო გამგეობას თვითმართველობის საორგანიზაციო ხარჯისათვის.

3. მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება დანარჩენი სამი მილიონი ხუთასი ათასი (3,500,000) მან. გადასცეს სესხად ერთის წლის განმავლობაში სამაზრო საერობო თვითმართველობათ საჭიროებისდა მიხედვით ბუთის წლის ვადით, 5% გადახდით წლიურად და 12% პენის გადახდით ვადაგადაცილებული თანხისათვის.

4. მესამე მუხლში აღნიშნული ვალის გადახდისათვის საჭირო თანხა საერობო თვითმართველობათა ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ უნდა იქნეს 1920 წ. იანვრიდან.

1918 წ. დეკემბრის 3-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### კანონი

**განსაკუთრებული დელეგაციისათვის საჭირო თანხის გადადებისა.**

1. გადადებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან საგარეო მინისტრის განკარგულებაში ერთი მილიონი და ხუთასი ათასი (1.500.000) მანეთი ევროპაში მიმავალი განსაკუთრებული დელეგაციის სხვა და სხვა ხარჯის დასაკმაყოფილებლად.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა პარლამენტის მიერ.

1918 წ. დეკემბრის 3-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### კანონი

**მთავრობის წევრთა ჯამაგირის გადიდებისა.**

სათანადო კანონების შესაცვლელად დადგენილ იქნეს;

1. დაენიშნოს მინისტრებს და მათ შორის მთავრობის თავმჯდომარეს და სახელმწიფო კონტროლიორს თვიურ ჯამაგირად სამი ათასი (3,000) მანეთი თვითეულს.

2. დაენიშნოს მინისტრებისა და სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგებს თვიურ ჯამაგირად ორი ათას შვიდასი (2700) მანეთი თვითეულს.

3. ეს კანონი ძალაში შედის 1918 წლის ნოემბრის პირველიდან.

1918 წ. დეკემბრის 3.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### კანონი

**ტფილისის ქალაქის თვითმართველობისათვის ოთხი მილიონი (4.000 000) მანეთი სესხად მიცემისა.**

1. მიეცეს ტფილისის ქალაქის თვითმართველობას ოთხის წლის ვადით სარგებლიანი სესხი ოთხი მილიონი (4.000.000) მანეთისა მიმდინარე ხარჯის დასაფარავად.

2. სესხი უზრუნველყოფილია: ყოველი საქალაქო გადასახადით [illegible] ე ქალაქის მოძრავი და უძრავი ქონებით.

3. სესხის გადახდა იწყება 1920 წ. [illegible]რიდან, ნახევარ წლობით: ივლისის ხუთმეტე და [illegible] დეკემბრის ხუთმეტს თითო ვადაზედ 500.000 მან. თავის სარგებლით.

4. სესხის გაცემის დღიდან ქალაქი ყოველ ექვს თვეში იხდის სარგებელს, ექვს პროცენტს (6%) სესხის დარჩენილ ნაწილზე.

5. თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს სესხისა და სარგებლის გადახდას შეტანილ უნდა იქნეს ქალაქის ყოველწლიურ სავალდებულ ხარჯთაღრიცხვაში.

6. იმ შემთხვევაში, უკეთუ ვადიანი გადასახადი, რომელიც აღნიშნულია მესამე მუხლში თავის დროზე არ იქნა შეტანილი ხაზინაში, უნდა გადახდილ იქნეს ჯარიმა-გადასახდელი თანხის თორმეტი პროცენტი.

7. ეს სესხი ჩაირიცხოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე ხარჯთ-აღრიცხვაში; ამავე სამინისტროს დაევალოს თვალყური ადევნოს სესხის თავის დროზე გადახდას.

8. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

1918 წ. დეკემბრის 3-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## არა ოფიციალური განყოფილება

### მთავრობაში.

**სახელმწიფო მოხელეთათვის.**

10 დეკემბრის სხდომაზე მთავრობამ განიხილა ამ სიძვირეში სახელმწიფოს მოხელეთა მძიმე მდგომარეობის საკითხი და დაადგინა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ გაატაროს ჯამაგირის ნიველიროვკა და მოაწყოს სურსათის მხრივ დახმარება. ორგანიზაციისათვის გადაიდო 2 მილიონი მანეთი. სურსათის მხრივ დახმარების მოწყობა დაეკისრა ცენტრალურ სასურსათო საბჭოს და შრომის სამინისტროს.

ორგანიზაციის გეგმის გამოსამუშავებლათ შრომის სამინისტრო პარასკევისთვის, 13 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე იწვევს კრებას, რომელსაც უნდა დაესწრონ წარმომადგენლები:

1) ცენტრალური სასურსათო საბჭოსი, 2,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მოხელეთა კავშირისა, 3) სახელმწიფო დაბალ მოსამსახურეთა კავშირისა, 4) კოოპერატივების წარმომადგენლები, 5) ყველა სამინისტროს კანცელარიის დირექტორები და ცალკე დაწესებულებათა უფროსები.

## გზათა სამინისტროში

**ბ. მინისტრის ბრძანება.**

გზათა მინისტრმა სასწრაფო ბრძანება უბოძა საქართველოს რკინის გზის უფროსს და კახეთის რკინის გზის გამგეს, რომ ყოველგვარ შემთხვევებში, როცა მგზავრებს ფული ხდებათ მატარებელში ან მის გარეშე სადგურზე ნივთების და ყოველ გვარ საქონლის ჩაბარების დროს ამათ პატრონთ მიეცეთ ხოლმე შესაფერი კვიტანცია. ამასთან ერთად მინისტრი მიმართავს მოწოდებით ყველა მოქალაქეთ, რომელთაც კი კვიტანციის მიუცემლათ ფული გადახდებათ რკინის გზის მაღალ და დაბალ მსახურთა მიერ, განასაჩივრონ ეს მოვლენა პირად ან წერილობით გზათა სამინისტროში.

**სამსახურიდან დათხოვნა.**

მინისტრის ბრძანებით საავტომობილო განყოფილების საწყობების გამგე პოდპ. არჟაკოვსკი 12 დეკემბრიდან დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

**ტყვიბულის მაღაროების გამგეს ჩამოსვლა.**

ტყვიბულის ქვანახშირის მადნების გამგე ინჟ. აბაშიძე ტფილისში ჩამოვიდა და წარუდგა გზათა მინისტრს მოხსენებით.

**ტვირთის მიღების აკრძალვის მოხსნა.**

გუშინ ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი, რომ მოლითში მატარებლის დამსხვრევის გამო, ბ. მინისტრმა აკრძალა ბარგის და მალე წასახდენ ტვირთის რკინის გზაზე გაგზავნის მიღება. დღევანდელი განკარგულებით ბ. მინისტრმა ეს აკრძალვა მოხსნა და ტვირთი ჩვეულებრივ მიიღება გასაგზავნათ.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**პროვოკაცია.**

მიწათ-მოქმედების და შრომის სამინისტრომ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ანანოვის მამულების გამგე ქუთაისის გუბერნიაში ტერ-გრიგორიანცი მუშათა და გლეხებს შორის აწარმოებს მავნე პროპაგანდას მიწათ-მოქმედების სამინისტროს საწინააღმდეგოთ. სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულების მოხდენას ტერ-გრიგორიანცის წინაღმდეგ.

## ფინანსთა სამინისტროში

**გზათა სამინისტროს ხარჯის გამორკვევა.**

ფინანსთა სამინისტრომ აცნობა გზათა სამინისტროს, რომ შაბათს, 14 დეკემბერს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით დღის 1 საათზე სამინისტროს შენობაში დანიშნულია სხდომა, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ საქართველოს ხაზინიდან მაისის 26-დან ნოემბრის 1-დის რამდენი ფული აქვს მიღებული გზათა სამინისტროს. სამინისტრო სთხოვს გამოგზავნონ ხსენებულ კომისიის სხდომაზე დასასწრებათ თვისი წარმომადგენელი.

## სანაინთან.

მანგლისის მოსაზღვრე რაზმის უფროსმა სანაინიდან შემდეგი დეპეშები მიიღო: ყაჩაღთა ბანდასთან ბრძოლის დროს მოკლულ 3 მხედრის გვამი გამოიგზავნა ტფილისში სამშობლოში წასასვენებლათ. 9 დეკემბრის ბრძოლაში მოკლულ იქმნა სამი, დაჭრილ იქმნა მძიმეთ ერთი და მსუბუქათ ექვსი, მათ შორის პორუჩიკი შუბლაძე. დაიკარგა უკვალოთ ორი.

ტფილისის ჯავშნოსან მატარებლის შტაბმა ს. სანაინიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: 9 დეკემბერს დილის 8 საათზე რაზმი გაემგზავრა სოფ. „უზუმლიარში“ და თან წაიყვანეს ტყვიისმფრქვეველთა რაზმი. როდესაც ჩვენები დაუახლოვდნენ კლდის ძირს, მთაზე ჩასაფრებულმა სომხებმა მათ აუტეხეს სროლა, რის შემდეგ ჩვენც უპასუხეთ, ჯავშნოსან მატარებლიდან არტილერიით და ტყვიის მფრქვეველებით საღამოს 8 საათამდე განუწყვეტელი სროლა იყო. ჩვენებმა მთაზე ასვლა ვერ მოახერხეს და უკან დაიხიეს. მთიდგან მოპირდაპირეები აგორებდნენ ქვებს, რომლითაც სადგურში დაამტვრიეს 3 ვაგონი ყუმბარებით დატვირთული, რომლებიც ეკუთვნოდა ოსმალეთს. მეორე ჯავშნოსანმა უნდა იაროს სად. შირუმიდან სად. სანაინამდის.

## სანაინთან

სადგურ სანაინის უფროსი გზათა სამინისტროს დეპეშით შემდეგს აცყობინებ: „ბანდები სადგურ სანაინს და მის კლდეებს ყუმბარებს უშენენ ოსმალთა მატარებლების დამსხვრევის მიზნით. კლდეებიდან დიდი ქვები გორდება და გზას ანადგურებს, ამიტომ გთხოვთ გასცეთ განკარგულება რათა გამოიგზავნოს 2 ორთქლმავალი ღ კომანდა მატარებლის გამოსაყვანათ.

## ავაზაკების დახოცვა თელავის მაზრაში

თელავის ლენერალ-ლუბერნატორ ბ. მაღლაკელიძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა: „8 დეკემბერს საღამოთი მე ჩემი ბათალიონითა და მილიციით გავემგზავრე წინანდალის მხარეს. შუაღამის 2 საათზე ალყა შემოვარტყი სოფლებს: კალაურს, ვაჩნაძიანს, ურიათუბანს, შაშიანს და აკურს. აქ ყაჩაღებს დავეწიეთ. 9 დეკემბერს დილის 6 საათზე სოფ. აკურში ატეხილ სროლის დროს მოკლულ იქმნა ავაზაკი სახელათ „კარტოსი“. ნაშუადღევის 2 საათზე ვაჩნაძიანის სოფელ გარეთ სროლის დროს მოვკალით ავაზაკი მოძღვრიშვილი თავისი ამხანაგით, რომელიც იმ ღამეს ჩამოსულიყო დუშეთიდან, სადაც მეთაურობდა ავაზაკთა ბრბოებს. საღამოს 5 საათზე სროლის დროს მოვკალით 2 ყაჩაღი სოფ. აკურში. საღამოს 6 საათზე დავეწიეთ ამ დღესვე გაქცეულ ავაზაკს „დანიკოს“ სახელით და ისიც მოკლულ იქმნა. სულ მთელი ამ დღის განმავლობაში ამ კუთხეში მოკლულ იქნა 6 ყაჩაღი. დიდი დახმარება აღმოგვიჩინა ვაჩნაძიანის სოფლის საზოგადოების კომისარმა კალატოზიშვილმა. საგუბერნიო ბათალიონის ოფიცრები და ჯარის კაცები და მილიცია—გოძიაშვილის მეთაურობით სანაქებოთ ასრულებდნენ თავის მოვალეობას.

## სოჭის ოლქში

საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებული სოჭიდან შემდეგს იტყობინება: საოლქო გლეხთა ყრილობა აღტაცებით შეხვდა მიწათ-მოქმედების სამინისტროს განცხადებას აგრარულ რეფორმების შესახებ, ერთსულოვანი მხარის დაჭერა მთავრობას. „თუ ჩვენ რესპუბლიკისთვის დაცვა საჭირო იქნება, (საქართველოს რესპუბლიკას ჩვენ რესპუბლიკად იხსენიებენ) ჩვენ დაუძახებლად მოვალთ თქვენს რაზმში და ვიბრძოლებთ დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ“. ასე ლაპარაკობდნენ გლეხთა დეპუტატები. კადეტების მიერ ალექსეევის ორიენტაციით გამოსვლას ყრილობა უარყოფით შეხვდა. ყრილობის ასეთი განწყობილება მოედო მთელ ოლქს. მეტის-მეტად საგრძნობელი ხდება ზოგიერთ სანოვაგის უქონლობა, რაც აუცილებლად რათაც უნდა დაჯდეს, დაკმაყოფილებული უნდა იქნას. ერობის შემოღების შესახებ მუშაობა კარგათ მიდის. კომიტეტის წევრები კიდევაც გაემგზავრნენ, რომ სიები ადგილობრივათ შეამოწმონ. სამი დღის წინათ მოხდა თათბირი ერობის შემოღების შესახებ მთელი კომიტეტისა, გლეხთა ყრილობის წარმომადგენელთა და ყველა არსებულ დემოკრატიულ ორგანიზაციათა. ერთხმათ გამოითქვა სურვილი, რომ მუშაობა ერობის შემოღების შესახებ დაჩქარებულ იქნას, რისთვისაც მთავრობის წინაშე შუამდგომლობაც არის აღძრული, რომ ზოგი ვადა, რომელიც დებულებაში ნაჩვენებია, შემოკლდეს.

## საქართველოს პარლამენტი

დეკემბრის 10-ის სხდომა.

თავმჯდომარეობს ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

მდივანი დ. ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი კითხულობს ჰაიდარ ბეგ აბაშიძის განცხადებას, პარლამენტის წევრობაზე უარის თქმის შესახებ.

დღიურ წესრიგით განსახილველია:

1. კანონ-პროექტი ძვირფას კულტურულ მამულებში პროდუქტების რეკვიზიციის შესახებ და 2. კანონ-პროექტი უქმე დღეების დაწესებისა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე აცხადებს, რომ მეორე კანონ-პროექტის მოხსნას მოითხოვს კომისიის თავმჯდომარე.

კანონ-პროექტი უქმე დღეების დაწესების შესახებ იხსნება დღიურ წესრიგიდან.

პარლამენტი იწყებს პირველ კანონ-პროექტის განხილვას.

მომხსენებელია დავით ონიაშვილი.

დ. ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი. აღნიშნავს, რომ კანონ პროექტი წარმოდგენილია სამიწათ-მოქმედო სამინისტროს მიერ და განხილულია აგრარულ კომისიაში. კანონ-პროექტი, რომელიც ორ მუხლისგან შესდგება ეხება პროდუქტების რეკვიზიციას. 1917 წ. დეკემბრის 16 გამოვიდა კანონი, რომლითაც მემამულეთა მიწები გადადის სამდგილ-მამულო კომიტეტების ხელში. ეს ჩამორთმეული მიწები უნდა განაწილდეს მშრომელ გლეხ-კაცების, მცხოვრებთა შორის. ეს განაწილება არ შეეხებოდა მხოლოდ ტყეებს და ისეთ მამულებს, რომელთაც განსაკუთრებული სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთი დებულება იყო გამოცემული და სწორედ ამის შესახებ არავითარი დავა არ ყოფილა. შემდეგ ამიერ-კავკასიის სეიმმა დააკანონა, რომ ასეთ მნიშვნელობის მამულები გადავიდეს სახელმწიფოს ხელში და მცხოვრებთა ხელში ეს არ განაწილდეს. როდესაც დაიწყო სამიწათ-მოქმედო პროგრამის განხორციელება შემდეგ საკითხმა წამოყო თავი: ინვენტარი არის ნაწილი ამ მეურნეობისა თუ არ არის. თუარ არის როგორი იქნება ბედი აი ამ ინვენტარისა. პირველ მუხლში ამ კანონ-პროექტისა აღნიშნულია, რომ მამულის მესაკუთრეს უნდა ჩამოერთვას ყველა ის, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება, რაც კი საჭიროა ჩამორთმეულ მამულში მეურნეობის ასაყვავებლად. ჩამორთმევა უნდა მოხდეს ფასით. ამ ფასს აწესებს სპეციალური კომისია. შემდეგ დადგა ისევ პრაქტიკულ ნიადაგზე საკითხი: რა უნდა უყოთ ისეთ პროდუქტებს, რომელიც ჩვენ მოგვინდება მეურნეობის განსავითარებლად, მის შესანარჩუნებლად. უნდა გამოცემულიყო ცალკე ნოველა' რომელიც გადასწყვეტდა—არის რამე განსხვავება ამ მხრივ ინვენტარსა და პროდუქტების შორის თუ არა.

აი ეს კანონ-პროექტი, რომელიც მოგახსენეთ დღეს და რომლის მუხლობრივ განხილვაზე გადავალთ—ეხება სწორედ ამ საკითხს.

ამა თუ იმ მამულების პროდუქტები, მაგალითად ჩაი, ღვინო თუ სხვა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მეურნეობისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ გამოცდილ ადამიანების, აგრონომების, სპეციალისტების აზრს ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს პროდუქტები ავიღოთ და პირდაპირ ბაზარში გამოვიტანოთ. ეს მოხდება მაშინ, თუ დავუტოვებთ პროდუქტებს მემამულეებს. ამ მოსაზრებით ბედი პროდუქტებისა უნდა დაუკავშირდეს ინვენტარის ბედს, რადგანაც პროდუქტებიც შესისხლხორცებულია მეურნეობასთან, ამიტომ უნდა ჩამოვართვათ მესაკუთრეთ ისევე, როგორც ინვენტარი. აი ეს არის არსებითად ამ კანონ-პროექტში, რომელიც წარმოდგენილია სამიწათ-მოქმედო უწყების მიერ.

ნ უ ც უ ბ ი ძ ე. (ს.-რ.) ორატორი აღნიშნავს მიწათ-მოქმედების უწყების უსისტემობას, უსისტემობის ნაყოფად მიაჩნია თვით ეს კანონ-პროექტი. მას ვერ გაუგია, აქვს თუ არა სამინისტროს გარკვეული გეგმა. იგი ამტკიცებს თუ არყევს კერძო საკუთრებას. ორატორი გულმტკივნეულად აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატები იზიარებენ რეფორმიზმს მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა შერყეულია. ისინი მიწასართმევენ მემამულეებს და ჰყიდიან გლეხკაცობაზე, მშრომელ გლეხკაცობაზე. ამბობენ, რომ დღეს გლეხკაცობას ფული აქვსო. ავიწყდებათ, რომ ნამდვილ მშრომელ გლეხ-კაცს ფული არა აქვს. ფული დაუგროვდათ მხოლოდ, ეგრედ წოდებულ, სოფლის „კულაკებს“. რეფორმიზმი, ორატორის აზრით ადუნებს რევოლიუციურ ენერგიას. ასეთი ნაბიჯები არის გამანელებელი ნაბიჯები. იგი ანელებს რევოლიუციას. დასასრულ ორატორი მოითხოვს, რომ კანონ-პროექტის პირველ მუხლში სიტყვა რეკვიზიცია შეცვლილ იქმნეს სიტყვით კონფისკაცია. ორატორის აზრით მთლად უფასოდ უნდა ჩამოერთვას მესაკუთრეებს პროდუქტები.

გ ი ო რ გ ი გ ვ ა ზ ა ვ ა (ერ. დემ.) ბატონებო, ჩვენი მოქმედება ჩვენ ყოველთვის უნდა შეუფარდოთ ჩვენს ძირითად კანონებს. ჩვენ მიერ მიღებული კანონები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენ მიერ მიღებულ ძირითად კანონებს. ჩვენს ძირითად კანონში სახელდობრ 26 მაისის აქტში მკაფიოდ გამოთქმულია, რომ საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამას უნდა მიაქციოთ ბატონო, ყურადღება.

ამ აქტის მეხუთე მუხლი გარკვევით ამბობს რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სოციალურ მდგომარეობისაო.

დღევანდელი კანონ-პროექტი კი ეწინააღმდეგება ამ ძირითად კანონს.

არსად დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩვენ არ შეგვხდება ესეთი კანონი. ამასთან პროდუქტებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მამულთან. პროდუქტები ვაჭრობა-მრეწველობის საგანია. ეს კანონი შეუხუთავს სულს ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას. ეს კი დანგრევა იქნება ჩვენი რესპუბლიკისა და ამას ხელს ვერ შეუწყობს ჩვენი პარლამენტი. პარლამენტი ასეთ კანონს ბეჭედს ვერ დააკრავს. მე გთხოვთ, რომ უარყოთ ეს კანონ-პროექტი.

თ ე ვ დ ო რ ე ღ ლ ო ნ ტ ი. ამ კანონ-პროექტს აგრარულ კომისიაში მხარი დაუჭირა ჩვენი ფრაქციის წარმომადგენლმაც. ასე რომ, პასუხის გება ჩვენ ფრაქციასაც მოეთხოვება.

ორატორი უპასუხებს გიორგი გვაზავას და აღნიშნავს, რომ კანონი არ ეწინააღმდეგება ძირითად კანონს.

ძირითადი კანონი, რომ მივიღეთ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამ ძირითად კანონს დავეყრდნობით მარტო. ჩვენ ამ ძირითად კანონს განვავითარებთ. შემდეგ ორატორი აღნიშნავს რომ მართლაც ეს კანონი ეხება სამეურნეო აღებ-მიცემობას, მაგრამ, ორატორის აზრით, ეს არ არის კერძო ინიციატივის ჩახშობა.

ორატორი ეხება ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფს, და აღნიშნავს, რომ ქართველ ვაჭარ-მრეწველებმა ვერავითარ ეროვნულ შემოქმედების ნიჭი ვერ გამოიჩინეს. თუ რამე კეთდება ისიც სხვისი ხელით. ჩვენში არყისა და ლიმონადის ქარხნის მეტი არა კეთდება რა.

შეუძლებელია იმის თქმა, რომ საქართველოს მთავრობა ამ კანონით ახშობს კერძო ინიციატივას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობას არ შეუძლიან შეუქმნას ჩვენს ვაჭრებს დიდი ქარხნები.

ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ ის, რაც ვერ მოახერხა უბადრუკმა ბურჟუაზიამ მას მოახერხებენ ქალაქის თვითმართველობანი, ერობები და კოოპერატივები.

(გაგრძელება შემდეგ)

## კანონ-პროექტები

**პროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებისა.**

I.

სასამართლო დაწესებულებათა დებულების ჯეროვან მუხლთა შესავსებლად და შესაცვლელათ დადგენილ იქნეს შემდეგი:

1. ნაფიცი მსაჯული უნდა ამორჩეულ იქნეს ორივე სქესის იმ პირთაგან:

ა) ვინც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (ქვეშევრდომია).

ბ) იცის ქართული ენა და წერა-კითხვა რომელიმე ენაზე.

გ) ვინც წლოვანებით 25 წელზე ნაკლები არ არის.

დ) ვისაც ერთ წელიწადზე არა ნაკლები უცხოვრია იმ მაზრასა ან ქალაქში, სადაც ნაფიც მსაჯულთა არჩევანი სწარმოებს.

2. ნაფიც მსაჯულად ყოფნა არ შეუძლიან:

1) ვინც დანაშაულობის გამო გამოძიებასა ან სამართალში არის მიცემული, ვისაც კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის სასამართლოს დადგენილებით საპატიმრო, ანუ უფრო სასტიკი სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი და ვინც სამართალში იყო მიცემული ასეთ სასჯელის ღირსი დანაშაულისათვის და სასამართლოს დადგენილებით უდანაშაულოდ ცნობილი არ არის.

2) ვინც სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვნილია.

3) ვინც ვერშემძლე მოვალედ არის გამოცხადებული.

4) ვინც ფლანგველობისა გამო მზრუნველობის ქვეშ იმყოფება.

5) ბრმა, ყრუ, მუნჯი და შეშლილია.

3. ნაფიც მსაჯულთა ამოსარჩევად უნდა შედგენილ იქნეს საერთო და მორიგი სია.

4. გარდა მე-2 მუხლში აღნიშნულ პირებისა ნაფიც მსაჯულთა სიაში არ უნდა იქნეს შეტანილი:

ა) მღვდელ-მსახური და ბერ-მონაზონი;

ბ) სასამართლო დაწესებულებათა წევრი, ამ დაწესებულებათა კანცელარიის შტატის მოხელე და აგრეთვე სასამართლოს ბოქაული.

გ) პროკურორი, მისი თანაშემწე და იმის კანცელარიის შტატის მოხელე;

დ) სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, აგრეთვე ფოსტის და ტელეგრაფის სამაზრო განყოფილების უფროსი და რკინის გზისა და ტელეგრაფის სადგურის უფროსი, თუ მას სათანადო თანაშემწე არა ჰყავს.

ვ) ის პირნი, რომელნიც სამხედრო და საზღვაო უწყებაში ხელოსნის ან ზღვის კანდელის (Маякъ) ზედამხედველის თანამდებობაზე არის, ხოლო ომიანობის დროს, ყოველი მოხელე, რომლის განთავისუფლება ნაფიც მსაჯულისაგან საჭიროდ იქნება მიჩნეული ამ უწყებათა უფროსის მიერ;

ე) საკარანტინო დაწესებულებათა მოხელენი;

ზ) გუბერნიის, (ოლქის), მაზრის, უბნის და სოფლის კომისარი და მისი თანაშემწე და

თ) საზოგადოდ მილიციის მოხელე.

6. ნაფიც მსაჯულთა საერთო სია უნდა შედგენილ იქნეს ქალაქებში—ქალაქის გამგეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს სახალხო გვარდიის დღეა

ბისა და მაზრებში—მაზრის საერობო გამგეობისაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საერთო სიის შედგენა წარმოებს ყოველ წელს და უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ივნისის პირველისა.

7) წინა მუხლში მოხსენებული სია უნდა შედგენილ იქნეს ანბანის რიგზე და მასში უნდა აღინიშნოს ყოველი შიგ შეტანილი პირის სახელი; მამის სახელი, გვარი, პროფესია, განათლების ცენზი და საცხოვრებელი ადგილი, სიის დამთავრების შემდეგ ქალაქისა და ერობის გამგეობამ უნდა საჯაროდ გამოაცხადონ, რა დღიდან იქნება გამოფენილი სია საყოველთაოდ განსახილველად.

8. საერთო სია წინა მე-7 მუხ. აღნიშნულ გამოცხადების დღიდან ორი კვირის განმავლობაში უნდა იქნეს გამოფენილი განსახილველად იმ დაწესებულებაში, სადაც ის შეადგინეს; ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს განუცხადოს ქალაქის ან ერობის გამგეობას კუთვნილებისამებრ,—თუ ვინმე უკანონოდ არის შეტანილი, ან გამოტოვებული სიაში და ამ განცხადების საფუძველიც წარუდგინოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამა მუხლში მოხსენებულ განცხადების შეტანა შეიძლება წერილობითაც და სიტყვიერადაც, მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში ოქმი უნდა იქნეს შედგენილი.

9. მე-8 მუხლში აღნიშნულ ვადის შემდეგ ქალაქის და ერობის გამგეობა ნაფიც მსაჯულთა საერთო სიას გაუგზავნის ადგილობრივ ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს და თან დაურთავს სიის შესახებ შეტანილ ყველა განცხადებას და, თუ საჭიროა, ამა განცხადებათა გამო თავის განმარტებასაც.

10. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ საერთო სია მის შესახებ შესულ განცხადებებთან ერთად უნდა შეიტანოს სასამართლოს გამწესრიგებელ სხოომაში, საერთო სიის შესასწორებლათ და მორიგი სიის შესადგენად. სასამართლო მორიგი სიის შედგენას შეუდგება მაშინ, როდესაც საერთო სიას შეასწორებს თანახმად ამ კანონის 1, 2 და 4 მუხლისა და იმ განცხადებათა, რომელთაც შესაწყნარებლად მიიჩნევს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ოლქის სასამართლოს განმაწესრიგებელ სხდომას უფლება აქვს ამოშალოს სიიდან ის პირი, რომელიც მიღებულათ და ჯეროვნად შემოწმებულის ცნობებით ზნეობრივათ სახელ გატეხილად არის მიჩნეული.

11. ნაფიც მსაჯულთა მორიგ სიების შესადგენად დანიშნულ გამაწესრიგებელ სხდომაზე უნდა მოწვეულ იქნენ სათანადო სამაზრო ქალაქის მოურავი, სათანადო მაზრის ერობის თავმჯდომარე, და ამა საქმისთვის არჩეული ხმოსნები: სამი ქალაქის საბჭოს მიერ და სამიც მაზრის საერობო ყრილობისაგან, კუთვნილებისამებრ. ამ მუხლის ძალით მოწვეულნი პირნი და სასამართლოს მუდმივი წევრნი თანასწორი უფლებით სარგებლობენ სასამართლოს თათბირსა და გადაწყვეტილებაში.

12. მორიგი სიები უნდა შესდგეს ყოველ მაზრისათვის ცალ-ცალკე და მათი შედგენა ყოველ წელიწადს ოქტომბრის პირველამდე უნდა იქნეს დამთავრებული. ამ სიებში საერთო სიიდან შეტანილი იქნებიან მხოლოდ ისინი, რომელნიც უნდა მოწვეულ იქნენ სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მომავალი წლის განმავლობაში.

13. წინა მე-12 მუხლში მოხსენებული პირნი სასამართლომ წილის ყრით უნდა აირჩიოს საერთო სიიდან.

14. ნაფიც მსაჯულთა მორიგ სიაში ყოველ წლისათვის უნდა შეტანილ იქნეს:

1) ქალაქ ტფილისისა და მისი მაზრისათვის . . . . . . . . . . . . . 1200 პირი.

2) ქალაქ ქუთაისისა და მისი მაზრისათვის . . . . . . . . . . . . . 1000 პირი.

3) „ სოხუმისა და „ „ . . 800 „

4) იმ მაზრისათვის, რომელშიაც ოლქის სასამართლოს სხდომები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით წელიწადში სამ სესიაზე მეტი არ არის განზრახული, თითო სესიაზე 60 პირი.

5) იმ მაზრისათვის, რომელშიაც სამ სესიაზე მეტი სხდომები იქნება, პირველი სამი სესიისათვის თითოეულზე 60 პირი, ხოლო ამაზე მეტისთვის თითოეულზე 40 პირი.

15. თუ მორიგი სიების შედგენის დროს გამოირკვა, რომ რომელსამე მაზრასა ან ოლქში საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა ისეთ პირთა, რომელთაც ნაფიც მსაჯულად ყოფნა შეუძლიანთ, მაშინ ოლქის სასამართლოს განყოფილებათა საზოგადო კრების დადგენილებით, ხსენებული მაზრა ან ოლქი მეზობელ მაზრას ან ოლქს უნდა შეუერთდეს და ორსავე მაზრისათვის ერთი მორიგი სია შესდგეს. სისხლის სამართლის სიქმეთა განხილვა ამ შემთხვევაში იმ მაზრაში ან ოლქში დაინიშნება, რომლიდანაც საერთო სიაში უფრო მეტი ნაფიცი მსაჯული არის შეტანილი.

16. მორიგი სიის შედგენასთან ერთად სასამართლომ განსაკუთრებული სია უნდა შეადგინოს სათადარიგო მსაჯულებისა. ამ სიაში უნდა შეტანილ იქნენ მხოლოდ იმ ქალაქების მცხოვრებნი, სადაც განსაზღვრულ ვადაზედ იმართება სასამართლოს სხდომა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

17. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გასამართ საოლქო სასამართლოს სხდომების ყოველ ჯერისათვის სათადარიგო მსაჯულთა სიაში ექვსი კაცი უნდა იქნეს შეტანილი.

18. წელიწადში ერთჯერ მეტად არავის მოწვევა არ შეიძლება ნაფიც მსაჯულის მოვალეობის ასასრულებლად.

19. წინა მე-18 მუხლში დადგენილ წესიდან გამონაკლისის დაშვება შეიძლება მარტო იმ შემთხვევაში, თუ ქალაქს—ან მაზრაში ისეთი პირთა საკმაო რიცხვი არ მოიპოება, რომ ნაფიცი მსაჯულება შეეძლოთ.

20. თუ მორიგ ან სათადარიგო სიაში ვინმე ისეთია შეტანილი, რომელიც სიაში არ უნდა ყოფილიყო (1 და 2 მუხ.), შეუძლიან ამის გამო საჩივარი აღძრას საოლქო სასამართლოს წინაშე, ერთი კვირის გასვლამდე იმ დღიდან, როცა სიაში შეტანის ცნობას მიიღებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამა მუხლში მოხსენებული საჩივარი ოლქის სასამართლომ თავის განყოფილებათა საზოგადო კრებაზე უნდა განიხილოს.

21. მორიგი და სათადარიგო სიების შედგენის შემდეგ სასამართლო ამ სიებში ჩარიცხულ პირთ გაანაწილებს იმის კვალობაზედ, თუ რამდენი სესია სხდომები არის განზრახული დამდეგს წელიწადს ოლქის სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით და თითოეული ჯერისათვის დანიშნულ პირს აცნობებს დროს, რომლის განმავლობაშიაც ის მზად უნდა იყოს, სასამართლოს დაბარებისამებრ, გამოცხადდეს ნაფიც მსაჯულის მოვალეობის ასასრულებლად. ამ გვარად განაწილებულ პირთ ადგილობრივ ადმინისტრაციის შემწეობით უნდა ეცნობოს დანიშნული დრო სასამართლოში მისვლისა.

22. ნაფიც მსაჯულთა მორიგ სათადარიგო და სასამართლოს სხდომათა სესიის სიებში უნდა აღინიშნოს თვითეულ შეტანილის პირის სახელი, მამის სახელი, გვარი, სარწმუნოება, ხელობა, განათლების ცენზი და საცხოვრებელი ადგილი.

23. ყოველ მორიგ ან სათადარიგო სიაში შეტანილ ნაფიც მსაჯულს შეუძლიან სთხოვოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ იგი იმ სესიიდან, რომელშიაც ჩარიცხულია მეორეში იქნეს გადატანილი და ამის დასაბუთებაც წარუდგინოს. ამ თხოვნათა შეწყნარება თავმჯდომარეს შეუძლიან თავის უფლებით, თუ დაბრკოლება არა აღმოჩდა რა.

24. წესი ნაფიც მსაჯულთა მოწვევისა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვასა და გარდაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებათ აღნიშნულია სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდებაში.

25. სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულ ნაფიც მსაჯულს, რომელიც იქ არა სცხოვრობს, სადაც საქმე ირჩევა მიეცემა გაცდენისათვის დღიურად 5 მან. და გზის ხარჯათ ვერსზე—25 კაპ., ხოლო, რომელიც იქ სცხოვრობს, სადაც საქმე ირჩევა, მას მიეცემა დღიურად 3 მან.

26. იმ საქმეების გამო, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით უნდა გარდაწყდეს, ოლქის სასამართლოს სხდომა შედგება არა სამის, არამედ მხოლოდ ერთი წევრისაგან, რომელიც თავმჯდომარედ იქნება. ასეთ წევრად შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, ან მისი ამხანაგი სისხლის სასამართლოს განყოფილებაში, ან ერთი მოსამართლეთაგანი, სასამართლოს განყოფილებათა საზოგადო კრების მიერ დანიშნული.

II.

სისხლის სამართლის წარმოების წესდების სათანადო მუხლთა შესაცვლელად და შესაფერისად დადგენილი იქნეს შემდეგი წესები.

1. იმ დანაშაულობის საქმე, რომელიც ექვემდებარება უმართებულეს სენატს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, ანუ უიმისოდ დაექვემდებაროს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს სისხლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ანუ უიმისოდ საერთო წესისამებრ.

2. იმ საქმისათვის, რომელიც საზოგადო წესისა და წინა მუხლის ძალით ექვემდებარება რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, ნაფიცნი მსაჯულნი უნდა არჩეულ იქნენ წილის ყრით მორიგ სიიდან, რომელიდანაც საზოგადო წესით იწვევენ ნაფიც მსაჯულებს ოლქის სასამართლოს სხდომაზე.

3. თუ იმ ადგილას, სადაც სასამართლოს სხდომა სწარმოებს, არ აღმოჩნდა იმ სარწმუნოების სასულიერო პირი, რომელსაც ეკუთვნის რომელიმე ნაფიც მსაჯულთაგანი; მაშინ მას დააფიცებს სასამართლოს თავმჯდომარე, იმ პირს—კი რომელიც ფიცს არ იზიარებს, ფიცის მაგიერ საჯარო აღთქმა ჩამოერთმევა.

4. იმ დანაშაულობის საქმენი და საკითხები, რომელნიც სისხლის სამართლის წესდებით ექვემდებარებიან სასამართლო პალატას, დაექვემდებაროს სათანადო საოლქო სასამართლოს.

5. უფლებანი და მოვალეობანი სასამართლო პალატის პროკურორისა მიენიჭოს საოლქო სასამართლოს პროკურორს.

6. იმ საქმის გამო, რომელიც სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით უნდა გარდაწყვიტოს, ოლქის სასამართლოს სხდომას უნდა დაესწროს არა სამი წევრი, არამედ მხოლოდ ერთი, რომელიც თავმჯდომარედ იქნება, ასეთ წევრად შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, ან მისი ამხანაგი სისხლის სასამართლოს განყოფილებისა, ან ერთი მოსამართლეთაგანი, სასამართლოს განყოფილებათა საერთო კრების მიერ დანიშნული.

7. თუ საქმე მოითხოვს, რომ სხდომა კარჩაკეტილში სწარმოებდეს მთელი საქმის განხილვისა, ან რომელიმე განკერძოებულ სასამართლო მოქმედების დროს—ეს სასამართლომ უნდა დაადგანოს საქმის მოსამზადებელ განკარგულებათა გაცემის დროს.

8. თუ იმ საქმეთა შესახებ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით უნდა გადაწყდეს, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდ. მე-$620^{3}$ მუხ. აღნიშნულ შემთხვევის გამო საჭირო შეიქმნა სხდომის კარჩაკეტილში წარმოება მთელის საქმის განხილვის ანუ განკერძოებულ სასამართლო მოქმედების დროს, თავმჯდომარეს უფლება აქვს ერთ-ერთ ამ ღონისძიებათაგანს მიმართოს. ისე კი, რომ დაცულ იქნას იმავე წესდების მე-621 მუხ. აღნიშნული პირობა.

9. სასამართლოს გამოძიება იმ საქმის შესახებ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით უნდა გადასწყდეს, იწარმოებს სისხლის სამართლის წარმოების წესდების მიერ დადგენილ ზოგადის წესით, მხოლოდ ყოველივე ის, რის დადგენაც ამა წესდების მე-619 მუხლით სასამართლოს აქვს მინდობილი, გარდა მოვალეობის აუსრულებლობისათვის კანონით დაწესებულ გარდასახადის მისჯისა უნდა თავმჯმდომარისაგან იქნეს დადგენილი.

10. როდესაც ნაფიც მსაჯულთა გარდასაწყვეტ საქმეთა განხილვის დროს სასამართლოს სხდომაზე შემოწმებულ იქნება ყველა შეკრებული საბუთი, თავმჯდომარე უნდა შეეკითხოს მსაჯულებს, საქმის ყოველივე გარემოება საკმარისათ არის იმათთვის განმარტებული, თუ არა და ხომ არა ჰსურთ სასამართლოს გამოძიების, რითიმე შევსება. ნაფიც მსაჯულთა უფლება აქვთ მოითხოვონ საქმის ყოველ გარემოების სისწორით გამოსარკვევად შევსება მისი ყოველსავე იმითი, რასაც საჭიროდ დაინახავენ, გარდა კანონით აკრძალულ მოქმედებისა. მათი განცხადების დაკმაყოფილების საკითხს გადასწყვეტს თავმჯდომარე მხარეების აზრის მოსმენის შემდეგ.

11. ნაფიც მსაჯულთა მიერ გადასაწყვეტ საქმეში საკითხი სასამართლოში დაბარებულ პირისთვის გადასახდელის მისჯისა სასამართლოს მოთხოვნილებისა ან და კანონით დაკისრებულ მოვალეობის აუსრულებლობისათვის, სასამართლომ ცალკე უნდა გასაჯოს, სასამართლოს სხდომის შემდეგ, უმახლობელეს გამწესრიგებელს სხდომაზედ.

12. კითხვები, რომელიც ნაფიც მსაჯულების გადასაწყვეტია, უნდა შემუშავდეს თანახმათ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდებითი დადგენილი საზოგადო წესისა იმ განსხვავებით, რომ მათ შეიმუშავებს თვით თავმჯდომარე და იგივე გადასწყვეტს ამ კითხვების გამო მხარეების და ნაფიც მსაჯულების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და პასუხს, კითხვების საბოლოოდ დამტკიცება ეკუთვნის თავმჯდომარეს.

13. დამნაშავეთ ცნობილისათვის სასჯელის დადება მის წინააღმდეგ აღძრულ სამოქალაქო საჩივრის დაკმაყოფილება და ყველა სხვა შედეგი გამომდინარე დამნაშავეობიდან ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გადასწყვიტონ თავმჯდომარესთან ერთად.

14. ნაფიც მსაჯულთა მიერ გადასაწყვეტ საქმეებში დადგენილება დანაშაული გზით მოპოვებულ ნივთებისა და საზოგადოდ ნივთიერ საბუთისა და აგრეთვე სამართლის წარმოების ხარჯის თაობაზე სასამართლომ უნდა შეადგინოს გამწესრიგებელ სხდომაზე.

15. ნაფიც მსაჯულთა მიერ გადასაწყვეტს საქმეებში თავმჯდომარის უფლებას ეკუთვნის სასყიდელის დანიშვნა მოწმეებისა, ექსპერტებისა და ყველა იმათთვის, ვინც სასამართლოში დაბარებული და ვისაც კანონით სასყიდლის მიცემა აქვს დაწესებული.

16. სასამართლოს სხდომა, აღნიშნულ სისხლის სამართლით წარმოების წესდების მე-$645^{1}$ მუხლში უნდა გახსნას იმან, ვისაც განზრახულს სესიაში თავმჯდომარეობა აქვს მინდობილი. მასვე აძევს ყოველივე მოვალეობა, სისხლ. სამართ. წარ. წესდ. მე-$645^{4}$ მუხ. აღნიშნული.

III

სასამართლოს დაწესებულ. დებულ. მუხლ. მე-437 მუხ. და სისხლ. სამართლის წარმოების წესდების მუხლი 1271, $1271^{1}$, 1275 და $1280^{1}$ გაუქმებულია.

## საექიმო-სასანიტარო საქმე

### სახადთან ბრძოლა.

ქალაქის საექიმო-სასანიტარო საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე შეიმუშავა ის ზომები, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს ტფილისში სახადით ავათმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ. აზრთა გამოთქმის და ბაასის შემდეგ საბჭომ საჭიროთ სცნო, გააძლიეროს ზედამხედველობა აბანოებზე და ძველ ტანისამოსით ვაჭრობაზე. შეუძლებელ მცხოვრებთ მიეცეს უფასოთ აბანოს ბილეთები, რომელსაც მათ დაურიგებენ საბჭოს ნაწილების და სასანიტარო ექიმები. ყოველ დღე ტრამვაის ვაგონები უნდა გაირეცხოს და მათი დეზინფექცია მოახდინონ. აკრძალულ უნდა იქნეს ტრამვაის ვაგონებ.ას ბაქანის გაჭექა მგზავრების მიერ. ეთხოვოს ქალაქის გამგეობას ზომების მიღება, რომ ყველა უბანში საკმარისი წყალი მიეცეს ღარიბთ უფასოთ. დაარსდეს საზოგადო ალაგები სარეცხის გასარეცხათ. გააძლიეროს ზედამხედველობა პარიკმახერების ქარხანებზე და დალაქხანებზე. სასტიკი თვალყური ადევნოს იმ ალაგებს, სადაც ბევრი ხალხი იკრიბება, მაგალითად, იარმუკაში, მოედანზე და სხვა ამ გვარ ალაგებზე. ქუჩებზე გაეკრას პლაკატები დარიგებით, როგორ აიშორონ თავიდან სახადით ავათმყოფობა. მოეწყოს ქალაქის ყველა უბნებში სახალხო კითხვა სახადის შესახებ ოთხ ენაზე. გაფართოებულ იქნას სადეზინფექციო კამერა და მიეცეს მას საკმაო მედიკამენტები, გაფართოვდეს ქალაქის საავადმყოფოს სახადიანების განყოფილება 300 საწოლამდე, და გამგეობას ეთხოვოს საჭირო ხარჯი ამ საწოლების ოთხი თვით შესანახათ. მიეცეს ქალაქის ქსენონს საკმარისი მედიკამენტები და სადეზინფექციო საშუალებანი. სახადიან ავათმყოფების მომვლელთ, ექიმებს, მოწყალების დებს და მოსამსახურეთ მიეცეს მაღალი ჯალები, გალოშები, ხელთათმანები და სხვა საჭირო ჯასაფრთხილებელი ნივთები, რომ სახადი არ გადაედოთ. მოემატოს თბილის წყლის და სათბობის (ნავთის) ქალაქის ქსენონში მიწოდება. დაევალოს ყველა ექიმს ყველა სახადით ავათმყოფის რეგისტრაცია და მით უსათუოდ ქსენონში გასტუმრება. დაწესდეს ექიმების მორიგეობა.

ეს ზომები ხარჯთ-აღრიცხვისამებრ, გამოიწვევს ხარჯს ოთხი თვის განმავლობაში 615.554 მან. ამ ფულის გადადება ქალაქის საბჭოს ეთხოვება მომავალ კრებაზე.

## ინგლისური პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

### ბონარ ლოუს სიტყვა.

ბონარ ლოუმ სთქვა, რომ მოკავშირეთა კომისიამ უნდა განიხილოს და გამოარკვიოს, თუ რა თანხა უნდა გადახდეს გერმანიას, რომ მოკავშირენი თავს დაკმაყოფილებულათ გრძნობდენ. მან განაცხადა, რომ დატყვევებული გერმანელნი ზავის ჩამოგდებისას სამშობლოში უნდა გააგზავნონ და საერთოთ გერმანელნი ინგლისში არ უნდა შეუშვან.

### ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ამერიკის ჯარს საჩქაროთ გზავნიან კობლენცში, სადაც ბოლშევიზმი ძლიერდება.

### კრონპრინცის განცხადება.

გერმანიის კრონპრინცმა მიერინგენში ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მას არაფერი არ გამოუცხადებია და

არავითარ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია, მაგრამ თუ გერმანიის მთავრობას რესპუბლიკანურ წესწყობილების შემოღება გადაუწყვეტია, ის მზათაა გერმანიაში დაბრუნდეს, როგორც უბრალო მოქალაქე. კრონპრინცმა პირდაპირ განაცხადა, რომ ის თაყვანს სცემს ვილსონს, რომელიც, როგორც კრონპრინცი ამაში ღრმათაა დარწმუნებული, გერმანიას სამართლიან ზავს მისცემს. 70 მილიონიან ერის დამცირება მხოლოდ შურის ძიების გრძნობას გამოიწვევს. შეუძლებელია ისეთი ერის გათელვა, როგორიც გერმანიაა.

### რეინამდე მისვლა.

ინგლისური ცნობის თანახმათ ინგლისის ჯარმა გოლდსბერგსა და კიოლნის შუა რეინს მიაღწია.

### ბერლინში მომხდარ შეტაკების შესახებ.

ბერლინიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ამას წინად მომხდარ უწესოების დროს მემარცხენეებმა თავის საუკეთესო ორგანიზატორებს მთელი სახელ-წიფოდან ბერლინში მოუყარეს თავი. მაგრამ მთავრობას მზადა ჰყავს 10,000 კაცისაგან შემდგარი ჯარი და რესპუბლიკანური გვარდია. მთავარ უბნებში ამ ჟამად ჯარი სდგას. უკანასკნელ ცნობებით კვირას სიწყნარე იყო.

## ქრონიკა

○ ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს სთხოვოს ქალაქის საბჭოს ნებართვა მილის წყლის ფასის გადიდებისა 1 კაპიკამდე ვედრა.

○ ტრამვაის ელექტრონის სადგურს 9 დეკემბერს ნავთი გამოელია და სამშაბათს ტრამვაის მოძრაობა უნდა გაჩერებულიყო, მაგრამ ღამით მოასწრეს ნავთის მოტანა ბაქოდან და სადგურმა განაგრძო მუშაობა. ქალაქს გადაეცა 6 ვაგონი ნავთი, რომელიც რამდენიმე დღე ეყოფა.

○ დღეს, 12 დეკემბერს დემოკრატიულ კლუბში (მუშტაიდი), სახალხო გვარდიის დღის აღსანიშნავად ადგილობრივი წრე მართავს საინტერესო „საღამო მეჯლისს". შინაარსი: წარმოდგენა, სიმღერები—ლექსები, სცენები—კუპლეტები და სხვა. კლუბის დარბაზში იქნება მრავალი გასართობები—ფოსტა, ამერიკული აუქციონი. დაუკრავს სამხედრო მუსიკა. შესასვლელი ფასი ქალები—3 მ. ვაჟები—5 მ. მთელი შემოსავალი გადაეცემათ გვარდიელების შტაბს. იმედია ამ „საღამოს" ხალხი თანაგრძნობით შეხვდება. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

○ ქართულ თეატრში შაბათს, 21 დეკემბერს ალ. მაისურაძის ახალი ქართული გუნდი, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი, გამართავს კონცერტს ოთხ განყოფილებად. გუნდი შეასრულებს სულ ახალ სიმღერებს როგორც მაგალითად: „ყველა სდუმდა", „მიყვარს ფაცხა", „პოპური", „ზამთარი" და სხვა. გუნდი სხვათა შორის დასდგამს ცოცხალ სურათებს ქალ-ვაჟთა გუნდის გალობით. გუნდში მონაწილეობას იღებენ: ლ. ჯანდიერი, შ. სააკაძე, ქუთათელაძე, შამათავა, სამყურაშვილი, დანი ნაბიჭვრიშვილის ასულნი და სხვანი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

○ 10 დეკემბერს სასტუმრო „ბრისტოლში" გოლოვინის პროსპექტზე ნ. გომელაურმა თავის მოკვლა განიზრახა, იგი დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

## ქუთაისი

○ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ყაჩაღი მორჩაძის ხელის შეწყობისათვის პარმენ ქარსაძე, ანდრია, გიორგი და ვასილ გოქაძეები, სიმონ ყიფიანი და დიანოზ ნანეიშვილი. დაატყვევა აგრეთვე მანდიკორის მილიციონერები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მორჩაძის შენახვას.

○ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა უკვე შეუდგა განახლებულ პირობებში მუშაობას. პირველი დილა, გამართა კვირას, 8 დეკემბერს ქალაქის თეატრში დილის 12 საათზე. ხსენებულ დილაზე მოწვეული იყვნენ ადგილობრივ კულტურულ-საზოგადოებრივი და რევოლიუციონური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც წარმოსთქვეს დროის შესაფერი სიტყვები. შემდეგ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარემ ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „სახალხო უნივერსიტეტი და მისი მნიშვნელობა".

○ საყულიიდან ატყობინებენ სამაზრო კომისარიატს, რომ იქ გაჩნდა საქონლის ჭირი, რამაც ჯერჯერობით იმსხვერპლა 800 სული საჭიროა დახმარება.

○ ყაჩაღ მორჩაძის ამხანაგი სირბილაძე დაიჭირა ქუთაისის სამაზრო მილიციამ. ის მოათავსეს საგუბერნიო ციხეში.

○ სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა დაატყვევა და მოათავსა საგუბერნიო ციხეში მილიციონერი საშა ჭოლიკაძე, რომელსაც ბრალდება სიმთვრალე და ქუჩებში უწესოების მოხდენა.

○ შუა უბნის მილიციონერმა თეთრ ხიდთან დააპატიმრა კონსტანტინე სულაბერიძე, რომელსაც მიჰქონდა ერთი ტომარა პადოში. დაპატიმრების შემდეგ გაჩხრიკეს სულაბერიძის სახლი, სადაც იპოვეს 7 გაუჭრელი საპადოშე ტყავი.

○ დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების ინსპექტორებს მოუვიდათ დაბალ სასწავლებელთა მთავარ გამგისაგან საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა სამმართველოს განკარგულების პირი ამა წლის 15 ნოემბრს № 1073 შემდეგი შინაარსისა:

ამით გაცნობებთ, რომ თქვენი თხოვნა მასწავლებლების ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ გაეგზავნა დღეს ფინანსთა მინისტრს, რათა მასწავლებლებს მოთხოვნა საჩქაროდ იქმნეს დაკმაყოფილებულიო.

○ გუშინ წინ ანანოვის მამულში ჩავიდა და რამოდენიმე კაცი და შედაუწყო ვენახებს ხვნა. ცენტრალურ საადგილ-მამულო საბჭოს წარმომადგენელის ქარცივაძის განკარგულებით დაჭერილ იქნენ ხსენებული პირები და გადაეცა ბაღდადის მილიციას ქუთაისში წამოსაყვანათ. მილიციონერებმა წამოიყვანეს დამნაშავენი ერთი დღე და ღამე მილიციონერები და დამნა შავენი ერთად ქეიფობდენ სიგუნავს დუქანში. ამ მხრივ თავი ისახელა მილიციონერმა ლორთქიფანიძემ და ერთმა მისმა ამხანაგმა. ასე ასრულებენ ზოგი მილიციონერები თავიანთ მოვალეობას. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს საგუბერნიო ადმინისტრაციამ.

○ სოფელ გეგუთში მოსე გაბრიელის ძე გიგიაძე მოჰკლა შვილმა, გაბრიელ გიგიაძემ. მიღებულია სასტიკი ზომები მის შესაპყრობლათ.

○ 28 ნოემბერს ღამით მოუკლავთ განყოფ. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის ნოქარი •შალიკო ლეჟავა. ბოროტ განმზრახველთ თავიანთი სისაძაგლე ჩაუდენიათ ქალაქიდან ერთი ვერსის სიშორეზე, რკინის გზის ლიანდაგის და მდ. ყვირილის შუა პატარა მინდვრის ბოლოში. მოკლული გადაუგდიათ მდინარის კიდეზე წყალში და ზედ დიდი ქვა დაუდვიათ. დილით 29 ნოემბერს გზათ მიმავალს ენახა გზაზე ახალი სისხლი, გაჰყოლია მას და დაუნახავს მდინარეს კიდეზე წყალში ადამიანის ხელი, მიცვალებულის ტანისამოსი ხელუხლებელია. ტანზე აღმოაჩნდა საათი, რომელიც თურმე მუშაობდა და 120 მან. ფულად. განსვენებული დილის მატარებლით ტფილისში მიემგზავრებოდა მაღაზიისთვის საქონლის შესაძენათ. როგორც ამბობენ ჰქონია რამოდენიმე ათასი მანეთი „საკვოიაჟში", რომელიც უნდა მიებარებინოს ნაცნობისთვის. მკვლელობის გამორკვევას შეუდგა სათანადო მთავრობა. ამ საქმეზე დატუსაღებულია ოთხი ახალგაზდა.

○ სოფ. სანოდიოში (სამეგრელო) ბოროტ გამზრახველები თავს დაესხენ მატრონა, მინადორა და ცაცუ კიზირიებს. ყაჩაღებმა წაიღეს 1000 მანეთი და ასტეხეს სროლა. სროლის დროს მოჰკლეს მატრონა კიზირია და დაიჭრა ცაცუ კიზირია. დამცემლებს შორის ყოფილან ყოფილი ჯარის კაცი კაპიტონ თომას ძე გვაზავა და სევერიან გიგოს ძე ტოტოჩია. ხსენებული პირები ადმინისტრაციამ დააპატიმრა.

## განცხადებანი

## დრამატიული საზოგადოების

**გამგეობის თავმჯდომარე**

ამით აცხადებსს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს დანიშნულია საზოგადო კრება აღნიშნული საზოგადოებისა. 1092 12—5

აიკანუშა მანუკოვის ასული კაზანჯიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა „переходящая квитанція" 2000 მანეთისა ამიერ-კავკასიის ბანკის მიერ მიცემული, რაც გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. 1144. 3—3

დეკანოზი დავით უტარნოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი № 2586, მიღებული 21 ივლისს, 1914 წ. 3—3

გორის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1918 წ. სექტემბრის 8 გარდაცვალებულ ხალილ-ისმაილ ოღლის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ხალილ ისმაილ ოღლის ქონებაზე X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1116 3-1

სისხლის სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, ქ. ტფილ. მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლის თანაშემწის დადგენილებით ეძებენ ფილიპე კარპის ძე სპიჩკას, (ჯარის კაცი, 66 ქვეითი დივიზიის შტაბის შოფერი) რომელსაც ბრალი ედება სასჯ. წესდ. მე-123 მუხ. და სასჯ. დებ. მე-1466 მუხ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ბრალდებული, ვალდებულია განუცხადოს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს. დაწესებულებანი, რომელთა განყოფილებაში აღმოჩნდება ბრალდებულის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1061 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918. წ ივლისის 29 მის მიერ, მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის ამა წლის ივლისის 10 ყადაღის ამხსნელ მოწერილობის № 1582 თანახმად, ყადაღა, რომელიც ითვლებოდა ტიგრან გრიგოლის ძე სარქისიანის ქონებაზე 1917 წ, ყადაღათა კრებ. № 73—გაუქმებულია.
710 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ, აგვისტოს 7 სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მ-48 ნაწილში, 109 გვ. 1999 №-ით აღნიშნულია, ამა წლის ივლისის 25 გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც პეტროს კარაპეტის ძე ბალიანმა დაიმტკიცა ქ. გუდაუთიდან მიწის ნაჭერი № 10, ზომით 281, 25 ოთხკ საჟ. 93 მან. 377 3—1

სისხლ. სამ. საქმ. წარმ. მე-846,847,848 და 851 მუხ. ძალით, ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლის თანაშემწის დადგენილებით ეძებენ მედროგეებს: ანდრია ტერეშჩენკოს, მიხეილ ტერმაშვილს და არშაკ ოგანეზოვს, რომლებსაც ბრალი ედებათ სასჯ. წესდ. მე-177 მუხლ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ტერეშჩენკო, ტერმაშვილი და ოგანეზოვი, ვალდებული არიან განუცხადონ მოსამართლის თანაშემწეს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მათი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1062 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 1 მის მიერ დამტკიცებულია, ამა წლის თებერვლის 1 გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი, გირავნობის მოწმობა, რომლითაც მიხეილ ლევის ძე ფრანკ-ფურტმა 13,000 მან. 8%, ოთხი წლის ვადით დაუგირავა ლიდია ივანეს ასულს ვოლშინას ორი ნაჭერი მიწა №№ 3 და 5 და მიწის ნაჭრის № 7 ნაწილი ქ. გუდაუთში უბ. №№ 76 და 77. ყადაღა შეტანილია სოხუმის ოლქის 1918 წ. კრებულში მე-18 №-ით. 991 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1918 წ. ნოემბრის 18 მე-24 №-ით ამა წლის აგვისტ. 14 შეტანილია ქუთაისის ნოტარიუს კოკოჩევის მიერ შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომელიც ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელითაც ეკუთვნოდა ვასასი გვაზავას და რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, გეგუთის ქუჩაზე. მამული შეიცავს მიწის ნაჭერს შენობებით, ზომით 160 ოთხკ. საჟ. ფასი 850 მ. 54 კ. სიმტკიცის გადასახადი 34 მ. 4 კ. სალერბო ქაღალდზე ამონაწერი 4 მ. 50 კაპ. 1043. 1—1

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა ილარიონ დავითის ძე და შალვა პავლეს ძე ბერიძეების მიერ მიცემული ივანე მიხეილის ძე კახიანზე, დამტკიცებული ჭიათურის ნოტარიუსის აბულაძის მიერ ამა წლის 11 წიფობისთვეს რეესტრის № 1747—28 წიფობისთვის ამა წლის დადგენილებით—გაუქმებულია. 1104 3-2

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა იწვევს 20 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, ერმალოზ ივანეს ძე ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1106 3—3

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 20 ნოემბერს 1913 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, ბესარიონ მიქელას ძე ღულუნიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულ ღულუნიშვილის ქონებაზე, კან. კრებ. X ტ. 6 მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1111 3—3

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამათლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 26 მარტს 1910 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, არჩილ მამუკას ძე ლომიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულ ლომიძის ქონებაზე კანონ. კრებ. X ტ. I ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1103 3-3

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 13 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის. მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, კაცია გიორგის ძე ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1108 3—3

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა იწვევს 9 ქრისტეშობისთვეს 1911 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. ბუნიკაურში, შორაპნის მაზრისა, იასონ, იგივე იოსებ, ბარამის ძე ბარათაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბარათაშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. I ნაწ. მე მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1105. 3—3

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესებისა, იწვევს 1 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, როსტომ ბეჟანის ძე ღულუნიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ღულუნიშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1109. 3—3

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 21 მარიამობისთვეს 1909 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა ნიკოლოზ გიორგის ძე ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1107 3—3

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ტფილისის ცენტრალ საწყობში 17 დეკემბერს 1918 წ. დილის ათ საათზედ გაიყიდება ქვემოდ აღნიშნული საქონელი. მიღებული ტფილისში ბათომიდგან № 68260 მოწამლული ალკოგოლი 69 ფ. 10 გ. თუ დანიშნულ დროზედ დარჩა გაუყიდავი, ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდად 18 დეკემბერს. 1150 1-1

## სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ტფილისის სასურსათო და ნივთების საწყობიდან გაიყიდება ქვემოხსენებული სურსათ სანოვაგე და ნივთები სამხედრო მინისტრის განკარგულებით დანიშნულ გენერალ-მაჭავარიანის კომისიის მიერ. მსურველთ სანოვაგის და ნივთების რაოდენობის, ღირსების და ფასის შესახებ უნდა მიმართონ კომისიის თავმჯდომარეს ღენერალ მაჭავარიანს სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების სადგომში. გასაყიდათ დანიშნულია ტფილისის სასურსათო საწყობიდან: გამხმარი ხილი, ძმარი, დაფნის ფოთოლი, გამხმარი ბოსტნეული, თევზი (ქაშაყი თევზი), კანიფოლი, გალეტები, ღორის ქონი, ხილის მაშარაფი და მახორკა. 2 სანივთო საწყობიდან. მოკლე ჩასაცმელი ტყავები, ახალი და ძველი მოთელილი წაღები, წაღები ლურსმიანი, ნალის მოსაკიდებელი (შიპები), წაღების ზეთი, ჩარდახები, საზაფხულო და საზამთრო წვივსაკრავები, პოვოზკები, სხვა და სხვა ჯურის ძველი ბარგის საზიდი ურმები, ტანისამოსის ნაგლეჯები, ქეჩები და ურმების ღერძის გასაპოხი.
1148 3—2



რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.